



## საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების დს-შ/1-17<sup>1</sup> მოკლე მიმოხილვა

მარიტა გორგილაძე (სტუდენტი)

### ფაქტები

ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 6 აგვისტოს. ადვოკატმა ჰონორარის სახით კლიენტისგან აიღო 600 ლარი. ადვოკატმა სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, ვინაიდან არ იყო ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი. ნივთების განზრახ დაზიანება/განადგურების ფაქტზე გამოძიება შეწყდა 2014 წლის 16 სექტემბერს, რადგან დანაშაულის ჩამდენი პირები იყვნენ მცირეწლოვნები. ადვოკატმა საჩივარი დაწერა გამომძიებლის წინააღმდეგ, მაგრამ მის მიმართ საქმე არ აღძრულა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. გ. მ, როგორც დაზარალებული, განთავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ადვოკატის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარს დართული არ ჰქონდა კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

### პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიერ დაირღვა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა აგრეთვე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.8 და 8.12 მუხლები. ეთიკის კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას იხელმძღვანელა სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნებოდა. ამდენად, ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

### სამართლებრივი შეფასება

სადისციპლინო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ ადვოკატმა უგულვებელყო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი. სადისციპლინო პალატამ განმარტა, რომ ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c4c0f4db075e.pdf/5c4c0f4db075e.pdf>

და კვალიფიციურად, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და წარმომადგენლობა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით. სადისციპლინო პალატა დაეთანხმა ეთიკის კომისიის დასკვნას, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.8 და 8.12 მუხლები. სადისციპლინო პალატამ განმარტა, რომ კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას. სადისციპლინო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილების შეფარდებასთან დაკავშირებით. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევასა და გთვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, ასევე, კლიენტისთვის მიყენებული ზიანი. ამდენად, სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესაბამისია. სადისციპლინო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული არ იყო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, ასევე ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების ნორმები. დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობა.

## **დასკვნა**

ადვოკატის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება.